საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/78

ქ. ბათუმი 25 ოქტომბერი, 2017 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საქართველოს შრომის კოდექსის", „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მღების წესის დამტკიცების" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N5 გადაწყვეტილების საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებით გამოცხადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. **დამტკიცდეს საკონკურსო საპროცედურო** *კომისია შემდეგი შემადგენლობით:*

ა) მარინა ბაგრატია - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დარეჯან ბარაბაძე - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის წევრი);

გ) გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი)

1.2. საპროცედურო კომისიას დაევალოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებით დადგენილი ვადების შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების მოთხოვნების შესრულება;

1.3. ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს დაევალოს, საპროცედურო კომისიისაგან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით უცხო ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტების მომზადება;

1.4. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს დაევალოს ტესტირების (საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების ცოდნის შესაფასებლად) შესაბამისი მასალის მომზადება;

1.5. ბსუ-ს საგამოცდო ცენტრს დაევალოს კონკურსანტთა ტესტირების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

1.6. ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს ეთხოვოს წინამდებარე ბრძანების შესრულების მონიტორინგი.

2. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისას ბსუ-ს პერსონალის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა გამჟღავნებისაგან (ტესტირების შინაარსზე და პასუხებზე წვდომა).

3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**